ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 2922291001**
თარიღი:**18/10/2022**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 56-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5, მე-8 ნაწილებისა და იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 18 ოქტომბრის N 7 დასკვნის საფუძველზე, საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობად იქნას მიღებული და ვადამდე შეუწყდეს ლაშა გოგიაშვილს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილება გარდაცვალების გამო.

მუხლი 2. შეწყვეტილად ჩაითვალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის უფლებამოსილება 2022 წლის 09 ოქტომბრიდან.

მუხლი 3. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობას ასრულებს მერის პირველი მოადგილე 2022 წლის 09 ოქტომბრიდან.

მუხლი 4. განკარგულება სახელმძღვანელოდ გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 5. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7).

მუხლი 6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM